



დედოფლისწყაროს
ბიოსფერული
რეზერვატი

DEDOPLISTSKARO BIOSPHERE RESERVE

გეგმარებითი დედოფლისწყაროს
ბიოსფერული რეზერვატის გზამკვლევი



Introductory Guide For Planned
Dedoplistskaro Biosphere Reserve







რას არის ბიოსფერული რეზერვატი? What is Biosphere Reserve?

მსოფლიო მოსახლეობის ზრდის პარალელურად იზრდება გლობალური პრობლემების სიაც. ვინაიდან ადამიანთა სასიცოცხლო წყაროს ბუნებრივი გარემო წარმოადგენს, ხოლო მისი რესურსები ამოწურვადია, კაცობრიობის არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შედგენა რესურსების რაციონალური მოხმარებისთვის, რათა შევძლოთ მათი შენახვა და გადაცემა მომავალი თაობებისთვის. სწორედ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად და გარემოსა და ადამიანის ჰარმონიული თანაცხოვრების ხელშესაწყობად, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) პროგრამის ფარგლებში "ადამიანი და ბიოსფერო" 1975 წლიდან იქმნება მსოფლიო მემკვიდრეობის უბნები ბიოსფერული რეზერვატების სახით.

ბიოსფერული რეზერვატის მიზანი. გეგმარებითი დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს უნიკალური ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების დაცვას და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას ადგილობრივი თემების და სხვა დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობით. ასევე, ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელის სხვა წევრებთან თანამშრომლობას.

დღეს მსოფლიოში 727 ბიოსფერული რეზერვატია შექმნილი 131 ქვეყნის მასშტაბით ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დინამიურ და თვით-რეგულირებად მდგომარეობაში დასაცავად, სადაც სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნებასთან ერთად შესაძლებელია გარემოს გლობალური მონიტორინგის, მეცნიერული კვლევების, რეკრეაციული და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

The list of global problems is gradually increasing along with the growth of the world population. Considering the fact that natural environment is a vital source of humankind, and its resources are exhaustive, it has become essential to elaborate sustainable development agenda for rational consumption of resources. This practice will give a chance to the mankind to conserve its limited resources and pass to the next generations. In order to solve this problem and improve the relationship between humans and their natural environment, since 1975 has been designated world heritage sites such as Biosphere Reserves under the UNESCO intergovernmental program "Man and Biosphere".

The main goal of the planned Dedoplistskaro Biosphere Reserve is to encourage preservation of unique natural and cultural values; maximally involve local communities and other stakeholders in the sustainable use of natural resources; as well as collaborate with other members of the world.

Today there are 727 Biosphere Reserves sited in 131 countries, aimed to preserve nature, natural processes and biological diversity in dynamic and self-regulating form. In the abovementioned reserves along preserving living environment it is possible to conduct global monitoring of environment, implement researches, educational programs and at the same time recreate.



ბიოსფერული რეზერვატის ამოცანები

Objectives of the Biosphere Reserve

ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარების და კაცობრიობის განვითარების პარალელურად გარემოსთან ჰარმონიული თანაცხოვრების შენარჩუნების მიზნით, UNESCO-ს პროგრამის ფარგლებში ბიოსფერული რეზერვატისთვის განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

• მონაწილეობითი მიდგომის დანერგვა

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის და სექტორის ჩართვა, რომელთა საქმიანობაზეც ბიოსფერული რეზერვატის არსებობა პირდაპირ თუ ირიბად ახდენს გავლენას.

• **ცოდნის გაზიარება** - რესურსების მნიშვნელობის და გარემოს დაცვის საჭიროების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დანერგვის გზით.

• **სიღარიბის დაძლევა და ადამიანთა კეთილდღეობის ზრდა** - ბიოსფერული რეზერვატის შექმნით ადგილობრივი თემის განვითარების ხელშეწყობა და მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ძლიერი და ეკონომიკურად განვითარებული თემის ფორმირებას.

• კულტურული რესურსების პატივისცემა

ბიოსფერული რეზერვატი ბუნებრივი რესურსების დაცვის პარალელურად ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც მატერიალურის, ასევე არამატერიალურის დაცვა, შენარჩუნება, პოპულარიზაციაზე, რათა არ მოხდეს დავიწყება კულტურული ფასეულობების და შევძლოთ მათი გადაცემა მომავალი თაობებისთვის.

• **კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების უნარის გაუმჯობესება** - გლობალური დათბობა მსოფლიო დღის წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა და მისი დაძლევა ერთობლივი ძალისხმევით გარეშე შეუძლებელია.

For Sustainable use of natural resources and maintaining harmonious coexistence of people and nature along with humanity development, there were defined the following objectives for Biosphere Reserve in the framework of the UNESCO program:

• **Participatory dialogue** - Involve all stakeholders in the decision making process, whose occupation is directly or indirectly influenced by Biosphere Reserve.

• **Knowledge sharing** - Rising awareness on the importance of natural resources and environment conservation through different trainings and educational programs.

• **Poverty reduction and human well-being improvements** - Enhance socio-economic development of local people by establishing Biosphere Reserve, that as an outcome will encourage formation of strong and well-being communities.

• **Respect for cultural values** - Biosphere Reserve concept implies not only protection of natural resources but also preservation of cultural tangible and intangible heritage, in order to pass it to future generations.

• **Improving society's ability to cope with climate change** - Global warming is one of the most important problems of the world agenda and it can't be overcome without joint effort.



ბიოსფერული რეზერვატის სამი მთავარი ფუნქცია:



1. ბიომრავალფეროვნების და კულტურული მრავალფეროვნების კონსერვაცია.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია გულისხმობს გენეტიკური რესურსების, ბიოლოგიური სახეობების, ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დაცვას. დედოფლისწყაროში ამგვარი ბუნებრივი მემკვიდრეობაა: უძველესი ქართული ხორბლის ჯიშები წითელი და თეთრი დოლი, შავფხა; არიდული მეჩხერი ტყე ვაშლოვანსა და მის შემოგარენში, ივრისა და ალაზნის ჭალის ტყეები და იქ მოხინაძრე ბეჭობის არწივი და ფსოვი, შავი მთის მიდამოებში გავრცელებული ველის იორდასალამი და კოლხური ხოხობი, ივრის სტეპი და იქ მოხინაძრე ქურციკი და სარსარაკი. ტარიბანას და ვაშლოვანის ალესილები და იქ მოხინაძრე ორბი და სვაკი, არწივის ხეობაში გავრცელებული რელიქტური მცენარე კახეთის მაჩიტა და შავი ყარყატი ასევე მრავალი სხვა, რომლის ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვანია არსებულ ადგილობრივ მატერიალურ კულტურასთან ერთად არამატერიალური კულტურული ელემენტების დაცვა და შეანჩუნება როგორცაა ქიზიყური ხელსაქმე, რომელიც მის წიაღში ბუნებრივი საღებავების გამოყენებით, ულამაზესი ორნამენტებით და საოცრად ნაზი ფერების შეხამებით დამზვენებულ ფარდაგებსა და ხურჯინებს ქმნიდა საუკუნეების განმავლობაში, გასტრონომია, ფოლკლორი, ადგილობრივი დღესასწაულები და მრავალი სხვ.

2. ეკონომიკური განვითარება სოციალურ-კულტურული და ეკოლოგიური მდგრადობის გათვალისწინებით. შირაქის ველებზე მემარცვლეობის და მესაქონლეობის დარგების განვითარება, ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით და სხვ.

3. სამეცნიერო-ტექნიკური მხარდაჭერა სადემონსტრაციო პროექტების, გარემოსდაცვითი განათლების, კვლევების და მონიტორინგის განსახორციელებლად.

აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად ბიოსფერული რეზერვატი იყოფა ზონებად.

The three major functions of the Biosphere Reserve:

1. Conservation of biodiversity and cultural diversity.

Conservation of biodiversity implies landscapes, ecosystems, species and genetic variations. Several noteworthy features of natural heritage can be detected in Dedoplistkaro Municipality: ancient varieties of Georgian wheat such as Red and White Doli, Shavpkha; arid sparse forests in Vashlovani Protected Areas and its surroundings; Alazani and Iori floodplain forests and its living habitats - Imperial eagle and White-tailed eagle; in the vicinity of Shavi Mta (black mountain) - Kolkhian Pheasant and Steppe Peony; in Iori steppe - Goitered Gazelle and Little Bustard; at Taribana and Vashlovani Badlands - Cinereous Vulture and Egyptian Vulture; in the area of Eagle Gorge - relict species such as Kakheti Bellflower and Black Stork and etc. In terms of preserving cultural diversity it is extremely important to protect local intangible and tangibly cultural heritage alike, for example, Qizikian handicraft - rug weaving tradition, using natural wool dyes prepared from local plants, decorated with beautiful ornaments and amazing soft color hues.

2. Economic Development that is socio-culturally and environmentally sustainable. Development of livestock and crop cultures of Shiraqi fields, encouragement of ecotourism development by involvement of locals.

3. Logistic support facilitating demonstration projects, training and education for sustainable development, research and monitoring.

To fulfill these three functions, Biosphere Reserves are organized into three zones.




ბიოსფერული რეზერვატის ზონები: The zones of Biosphere Reserve

ბიოსფერული რეზერვატი შედგება სამი ზონისგან, რომელთაგან თითოეულს განსხვავებული ფუნქცია აქვს. ესენია: ბირთვული ზონა, ბუფერული ზონა და გარდამავალი ზონა.

- **ბირთვული ზონა** უნდა იყოს იურიდიული სტატუსი მქონე ტერიტორიული ერთეული, გათვლილი ბიომრავალფეროვნების გრძელვადიან დაცვაზე შესაბამისი ფართობის პირობებში. ბიოსფერულ რეზერვატს შესაძლოა ჰქონდეს ერთი ან რამოდენიმე ბირთვული ზონა. ისინი ძირითადად წარმოადგენენ ნაკრძალებს, ბუნების ძეგლებს, ეროვნულ პარკებს, გადამფრენ ფრინველთა თავშესაფრებს, სადაც ადამიანის ჩარევა ბუნებრივ პროცესებში აკრძალულია და მათი მთავარი საქმიანობა ეხმარება მხოლოდ კონსერვაციულ მიზნებს.
- **ბუფერული ზონა** ესაზღვრება ბირთვულ ზონას და წარმოადგენს მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას, სადაც დასაშვებია მხოლოდ კონსერვაციულ მიზნებთან თავსებადი ტრადიციული საქმიანობების განხორციელება მაგალითად როგორცაა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულებით რესურსების მოხმარება, ეკოტურიზმი და სხვ.
- **გარდამავალი ზონა** წარმოადგენს ყველაზე დიდ ნაწილს ბიოსფერული რეზერვატის, რომელიც გარს აკრავს ბირთვულ და ბუფერულ ზონებს. აქ ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ, მოიხმარენ ბუნებრივ რესურსებს რაციონალურად და მდგრადობის ყველა ელემენტის გათვალისწინებით.

Biosphere Reserves consist of three zones, each of which plays a different role. These are: Core areas, Buffer zones and Transition Areas.

- **Core area** should be a territorial unit with legal status designed for long-term protection of biodiversity in the vicinity of appropriate area according to the conservation objectives of Biosphere Reserve. Generally core area consists of one or more protected areas, such as national park, natural monument, migratory bird sanctuary and etc. Throughout core areas human interference in natural processes is prohibited and their activity can be related only to conservation purposes.
- **The buffer zone** borders the core zone. It has buffering functions, and there is possible to carry out only traditional activities compatible with conservation purposes, such as consumption of agricultural resources, ecotourism, etc.
- **Transitional area** is the largest part of the biosphere reserve, surrounding the core and buffer areas. There live and work most of the residents, using natural resources in a sustainable manner.



რატომ შეირჩა კახეთის რეგიონი ბიოსფერული რეზერვატის დასაარსებლად?



Why was Kakheti Region selected for establishing the Biosphere Reserve?

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეგიონია ისტორიული თუ დღევანდელი მდგომარეობით. მისი ბუნებრივი პირობები ოდითგან იზიდავდა ადამიანებს აქ საცხოვრებლად; არსებული გარე და შიდა მნიშვნელობის გზები კი დატვირთული იყო ახლოს თუ შორს მცხოვრები ხალხით და ხშირად მტრებითაც. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა რეგიონის მრავალფეროვნება, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ადგილობრივთა ყოფით ცხოვრებაში.


კახეთის მრავალფეროვნების მნიშვნელოვან წილს ამჟამინდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი იკავებს მის ტერიტორიაზე არსებული ვაშლოვანის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიებით, რომლებიც ფაქტობრივად მსოფლიო საგანძურს ინახავენ წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების სახით, თუმცა გამორჩეული ფლორისა და ფაუნის სახეობებთან ერთად ამ ადგილებს განსაკუთრებულობას სძენს ცხვრის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მიგრაციის ტრადიცია, რომელიც ზუსტად არვინ იცის როდიდან იღებს სათავეს. ცხვრის საუკუნოვანი მიგრაციის თანმხლებმა კავშირმა მთისა და ბარის მოსახლეობას შორის შექმნა გამორჩეული ავთენტური კულტურა, რაც გამოვლინებას პოუვებს ისეთ არამატერიალური კულტურის ძეგლებში, როგორიცაა კახური გასტრონომია (ღვინო და კერძები), ტრადიციული ხელსაქმე და სახალხო დღესასწაულები (რთველი, კალოობა და სხვ.) და ა.შ. თუმცა, არამატერიალურის გარდა ამ არეალს მატერიალური კულტურის არა ერთი ძეგლიც ამშვენებს.

სწორედ ეს მრავალფეროვანი საგანძურია ის, რის გამოც აღნიშნული ტერიტორია შეირჩა ბიოსფერული რეზერვატის შესაქმნელად, ვინაიდან იგი წარმოადგენს ბერკეტს ამ მნიშვნელოვანი ბუნებრივი და კულტურული რესურსის დაცვისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების. ბუნებით შთაგონებული ყოფითი ცხოვრების ასეთი თვალსაჩინო მაგალითების შენახვა, როგორც ამ რეგიონშია მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

Kakheti is one of the most distinctive regions of Georgia in terms of history and present day. Its natural environment has long attracted people to live here. The existing roads of external or local importance were crowded by locals, neighbors and often by enemies as well. These circumstances determined region's appealing diversity and authenticity which survived up today as a living culture.

The important part of Kakheti diversity is presented by Vashlovani and Chachuna Protected Areas, located on the territory of Dedoplistskaro Municipality. Essentially those areas preserve the world treasures in terms of biodiversity. However, along with the characteristic species of flora and fauna, the region features a remarkable tradition - sheep migration. The origin of this centuries-old tradition stays unknown till present days. Although for centuries the practice of sheep migration was deepening bond between mountain and lowland people and influenced creation of unique culture, which is revealed in intangible cultural heritage such as Kakhetian gastronomy (wine and dishes), traditional handicraft and local events, "Rtveli" (grape harvesting), "Kalooba" (wheat harvesting) and etc. In addition to the intangible heritage, this area is rich with tangible cultural heritage.

Due to this diverse treasure, this area was selected for the Biosphere Reserve, as those protected zones represent main lever to conserve natural and cultural heritage and to maintain their vitality. Keeping alive such vivid examples of living culture inspired by the nature has global importance for society.



დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს მდებარეობს. ბიოსფერული რეზერვატის უმეტესი ნაწილი მდინარეების ალაზნისა და იორის კალაპოტებს შორის ამალღებულ პლატოზე (ივრის ზეგანზე) მდებარეობს. დედოფლისწყაროს ტერიტორია ხასიათდება მშრალი სუბტროპიკული კლიმატით, ხანგრძლივი მშრალი ცხელი ზაფხულით და შედარებით ცივი ზამთრით.

ლანდშაფტის მნიშვნელოვანი მახასიათებლები მოიცავს ეროზირებულ ხეობებს, მდინარის ტერასებს, ხევებს, უდაბნოებს, ფსევდო-კარსტებს, ტალახის ვულკანებს, გამოქვაბულებს ა.შ. ბიოსფერულ რეზერვატში მცენარეთა 600 სახეობაა, რომელთაგან 28 სახეობა კავკასიის (მაგ. *Berberis iberica*, *Pyrus georgica*, *Tulipa eichleri*) და 5 საქართველოს ენდემს წარმოადგენს (მაგ. *Campanula kachetica*, *Onobrychis kachetica*, *Paeonia tenuifolia*). მცენარეულობით მდიდარი არეალი სხვადასხვაგვარი ცხოველების ჰაბიტატს წარმოადგენს. აქ გავრცელებულია ძუძუმწოვრების სახეობის 62, ფრინველის 135, ქვეწარმავლის 30, თევზების 20 და ამფიბიების 4 სახეობა. უხერხემლოთა რაოდენობა უცნობია. აქ ვხვდებით მტაცებელი ცხოველების 8 სახეობას. ფაუნა ასევე მდიდარია ხელფრთიანებით (*Chiroptera*), რომელთაგან აღსანიშნავია *Myotis emarginatus*, *Rhinolophus hipposideros* Bechtein., *Rhinolophus mehelyi*.


ტერიტორია ასევე მნიშვნელოვანია აგრობიომრავალფეროვნებით. ადგილობრივ ჯიშებს მიეკუთვნება შავი ქლიავი, წითელი დოლის პური; ვაზის ჯიშებიდან: საფერავი, რქაწითელი, ხიხვი და ა.შ.

Dedoplistskaro Biosphere Reserve is located in the south-eastern part of Georgia, near the border with Azerbaijan. Most part of the reserve is located on the lori plateau between the Alazani and lori riverbeds. The Dedoplistskaro area is characterized by a dry subtropical climate, long dry hot summers and relatively cold winters.

On a relevantly small territory is formed extremely varied landscape that includes eroded valleys, river terraces, ravines, mud volcanoes, caves, desert, semi desert, steppe, arid sparse forests and deciduous forest zones. Also in the vicinity of the reserve are spread floodplain forests, cliff xerophytes, foothill forests and loam plants. Out of the 600 plant species found on the territory of the Biosphere Reserve 28 are endemic to the Caucasus (e.g. *Berberis iberica*, *Pyrus georgica*, *Tulipa eichleri*) and 5 to Georgia (e.g. *Campanula kachetica*, *Onobrychis kachetica*, *Paeonia tenuifolia*).

The area is quite rich in vegetation and is the habitat of various animals. 62 species of mammals, 135 birds, 30 reptiles, 20 fish and 4 species of amphibians can be found in the Biosphere Reserve. 8 species of large predators inhabit Vashlovani Protected Areas. Fauna is also abundant in bats (*Chyoptera*), including Pamsy *Myotis* (*Myotis emarginatus*), Lesser Horseshoe Bat (*Rhinolopus hipposideros* Bechtein) and Mehely's Horseshoe Bat (*Rhinolophus mehelyi*).

The area is also important for agrobiodiversity. Native varieties include black plum, red doli bread (*Tritium ferrugineum*); and wine varieties: Saperavi, Rkatsiteli, Khikhvi and others.



ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით დასახლებული ტერიტორიის სიმაღლე კლებულობს, კლიმატი უფრო ცხელი ხდება, მშრალი და ნაყოფიერი ნიადაგის პროდუქტიულობა მცირდება. ამრიგად, დასახლებებისა და არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესების უმეტესობა ჩრდილოეთ ნაწილშია კონცენტრირებული; ცენტრალური ნაწილი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწებს მარცვლეულის მოშენებისთვის და სამხრეთით, ტერიტორია ველურდება და საბოლოოდ ბუნებრივ საძოვრებად იქცევა, რომლებიც გარშემორტყმულია ხელუხლებელი, განსაკუთრებული კონსერვაციული ღირებულების მქონე ბუნებრივი ტერიტორიებით.

კლიმატური პირობების გამო, ტერიტორიაზე მდინარეების მწვავე ნაკლებობაა. ჰიდროლოგიური ქსელი ძირითადად წარმოდგენილია დამშრალი ხევებისა და ხეობების ქსელით.

მოსახლეობის რაოდენობა 21 000 ადამიანს აღემატება, რომელიც ძირითადად დაკავებულია სოფლის მეურნეობით, ტურიზმით, სამთო და გადამამუშავებელი მრეწველობით (კირქვა), სხვადასხვა ტიპის სერვისების მიწოდებით, ვაჭრობითა და სამშენებლო საქმიანობით.

From north to south the height of the populated area decreases, the climate becomes more and more dry and consequently fertile soil productivity decreases. Thus, most of the settlements and non-agricultural productions are concentrated in the northern part. The central part mostly consist of agricultural lands for grain cultivation, while to the south, the area becomes wild and eventually turns into pastures that are surrounded by pristine, natural sites with special conservation values.

Due to climatic conditions, there are only a few rivers in the area. The hydrological network is represented by dried ravines and valleys.

Average population of the area is more than 21 000 people, mainly engaged in agriculture and tourism fields, in limestone industry, trading and other services.




დედოფლისწყაროს გეგმარებითი ბიოსფერული რეზერვატის ზონები:

Description of the Planned Dedoplistskaro Biosphere Reserve zones

გეგმარებითი „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. მისი გარე პერიმეტრი მთლიანად ემთხვევა მუნიციპალიტეტის საზღვრებს. მათ შორის, ბირთვული ზონა წარმოდგენილია ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალითა და ვაშლოვანის ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონით. ბუფერული ზონა მოიცავს ვაშლოვანის ეროვნული პარკის ნაწილს - აღდგენის ზონას, ტრადიციული გამოყენების ზონას, ვიზიტორთა ზონას და ადმინისტრაციულ ზონას, ჭაჭუნას ალკვეთილს, ალაზნის ჭალის ტყეების ბუნების ძეგლს, არწივის ხეობის ბუნების ძეგლს და ტახტი - თეფას ბუნების ძეგლს. მუნიციპალიტეტის დანარჩენი ტერიტორია კი უკავია გარდამავალ ზონას.

Planned Dedoplistskaro Biosphere Reserve is located in Dedoplistskaro Municipality. Its outer perimeter completely coincides with the boundaries of the municipality. The core zone is presented by Vashlovani Natural Reserve and strict zone of Vashlovani National Park. Buffer zone includes the part of Vashlovani National Park - traditional use zone, recovery zone, administrative areas and visitor zone, Chachuna Manage Reserve, Alazani Floodplain Forests, Takhti-Tepa Mud Vulcano and Eagle Gorge Natural Monument. The rest of the municipality territory represents transitional areas.





რეგიონის ეკონომიკური ზრდის პოტენციური ბიოსფერული რეზერვატის განვითარების შედეგად



Potential of the region for sustainable economic development after establishing Biosphere Reserve

რეგიონის ეკონომიკური ზრდის პოტენციური ბიოსფერული რეზერვატის განვითარების შემდგომ რეგიონის მაცხოვრებელთა ძირითად შემოსავლის წყაროს ისტორიულად და დღესაც სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რაც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების მოხმარებასთან, ხოლო მათი არამდგრადი მოხმარების შემთხვევაში საფრთხე ექმნება როგორც ბუნებრივ გარემოს, ასევე გრძელვადიან ჭრილში აქ მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობას. ბიოსფერული რეზერვატის შექმნა კარგი საშუალებაა რესურსების მდგრადი მოხმარების დანერგვის ტრადიციული საქმიანობის შენარჩუნებასთან ერთად. იუნესკოს სტატუსი და საერთაშორისო აღიარება კი გარანტიაა ტურისტთა ინტერესს ზრდის არეალის მიმართ, რაც პირდაპირკავშირში იქნება დასაქმების და შემოსავლების ზრდასთან და შესაბამისად ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების ხელშეწყობასთან.

ბიოსფერული რეზერვატის სწორედ მართვის შემთხვევაში, შესაძლებელია მაღალპასუხისმგებლიანი და მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოზიდვა, რომლებიც მაქსიმალურ სარგებელს მოუტანენ ადგილობრივ თემს, ხოლო მინიმალურ ზიანს ადგილობრივ გარემოს.

Since time immemorial agriculture has been the main source of income for the locals, which is directly related to the consumption of natural resources. In case of unsustainable consumption of those resources, the natural environment and well-being of the people living here are endangered. Establishing a biosphere reserve is a convenient lever to encourage sustainable use of resources and on the same time preserve traditional activities. Obtaining UNESCO status and international recognition may enhance the growth of tourists' interest in the area, and lead to increased employment and income and, consequently, strengthen the overall economy of the region.

In the case of proper management of the biosphere reserve, it is possible to attract responsible and high-paying visitors, who will bring best benefits to local community and minimal damage to the local environment.



გარდა ამისა შესაძლებელია ბიოსფერული რეზერვატის ბრენდის გამოყენება ადგილობრივი პროდუქტის შეფუთვისთვის, რაც ნიშნავს დიდ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებით იმ მოცემულობით, რომ ნატურალური, ბიონარმოება ყოველ დღე უფრო და უფრო მოთხოვნადი და ძვირადღირებული ხდება. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ UNESCO-ს ბიოსფერული რეზერვატებიდან არა ერთი პროდუქტი მსოფლიო ბაზარზე უმაღლესი ხარისხის პროდუქტად არის აღიარებული (მაგ. არგანის ზეთი Argan-neraie Biosphere Reserve-დან, მაროკოდან). კახეთის რეგიონს ამ მხრივ დიდი შესაძლებლობები აქვს აქციოს ადგილობრივი პროდუქტები, როგორცაა კახური ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებული მზესუმზირის ზეთი, თუმური გუდის ყველი, კახური ღვინო, ქართული ხორბლის ფქვილი და სხვ., მსოფლიო მნიშვნელობის პროდუქტებად და ხელი შეუწყოს მათი წარმოების მასშტაბის ზრდას. აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. კერძოდ, მომზადდა ეტიკეტები რათა ერთი ბრენდის ქვეშ გაიყიდოს ადგილობრივი პროდუქტი როგორცაა ზეთი, ფქვილი, ღვინო და სხვ.

In addition, it is possible to use the Biosphere Reserve brand for local product packaging, which means great success in the world market, especially given that natural, bioproduction is becoming more and more in demand and expensive every day. World practice shows that not a single product from UNESCO Biosphere Reserves is recognized as a world market premium product.

Also there is a good opportunity to use Biosphere Reserve brand for packaging the local products, which means a great success on the international market, especially when natural and organic production becomes more and more in demand and expensive. International experience showcases that a lot of products from UNESCO Biosphere Reserves are recognized as premium products on the international market (e.g. Argan oil from Morocco, Arganeraie Biosphere Reserve). Kakheti region has a great potential to create well-developed brand production based on local goods, such as sunflower oil made by Kakhetian traditional technology, Guda Cheese from Tusheti, Kahetian wine, Georgian wheat flour and etc. A well-planned and high quality production will open international market and facilitate the growth of region's production scale. In order to support this initiative several tasks were already performed, for example particular labels were prepared to sell local products under one brand, such as oil, flour, wine and etc.



დარბაზორისი თანამშრომლობის მნიშვნელობა ბიოსფერული რეზერვატის მდგრადი განვითარებისთვის



Intersectoral cooperation in the framework of Biosphere Reserve



ბიოსფერული რეზერვატის წარმატება და მდგრადობა მთლიანად დამოკიდებულია სექტორებს შორის ურთიერთთანამშრომლობაზე. მართვის მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კოორდინირებული მუშაობა საჯარო, არასამთავრობო და კერძო სექტორების ხელს უწყობს ინტერესთა კონფლიქტის გარეშე არეალის განვითარებას. სასურველია აღნიშნულ პროცესებში მაქსიმალურად იყვნენ ჩართული შემდეგი სექტორები:

- **ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები:** ადგილობრივი მთავრობა, დაცული ტერიტორიების და მუზეუმების ადმინისტრაციები და ა.შ. რომელთა პასუხისმგებლობაა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია და მდგრადი მართვა.
- **ადგილობრივი თემი** - ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინება და ჩართვა ბიოსფერული რეზერვატის მმართველობით საკითხებში.
- **ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები** ტურიზმსა და მომიჯნავე სექტორებში (გარემოსდაცვა, კულტურა, სოფლის მეურნეობა) არსებული პრობლემების და მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევის, სწორი ანილიზის და განვითარების ხელშეწყობისთვის.

Success and sustainability of Biosphere Reserve totally depends on cross-sectoral cooperation. International management practice shows that coordinated work of public, non-governmental and private sectors encourage the development of an area without conflict of interests. Following sectors are recommended to be involved in the Biosphere Reserve development processes:

- **Local governing bodies:** local government, administrations of protected areas, museums and institutions, responsible to provide conservation and sustainable management of natural and cultural heritage;
- **Local community:** for proper development it is crucial to take into consideration opinion of the local population and facilitate their involvement in the Biosphere Reserve management;
- **Local non-governmental organizations:** entities engaged in tourism and its adjacent sectors (environmental protection, culture, agriculture), responsible to encourage and underline important issues and existed problems, make analysis and develop;

- **ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული მენარმეები, ბიზნესები** - განთავსებისა და კვების ობიექტები, აგროტურისტული მეურნეობები, რეწვის სახელოსნოები, ადგილობრივი გიდები, ტუროპერატორები და ა.შ, რომლებიც აწვდიან ტურისტულ პროდუქტებს და პასუხისმგებლები არიან ხარისხიან მომსახურების მიწოდებაზე, ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებაზე და ამავდროულად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციაში.
- **საგანმანათლებლო დაწესებულებები:** სკოლები, პროფესიული კოლეჯები, უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები, რომელთა მონაწილეობა და ჩართვა მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, სამეცნიერო კვლევების წარმოებაში ცნობიერების ამაღლების, ცოდნის გაძლიერების და კვალიფიციური კადრების მომზადების კუთხით.
- **მედია არხები** - სამაუწყებლო, ბეჭდური და ელექტრონული მედია არხების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი თუ კულტურული რესურსების, განვითარებული ტურისტული პროდუქტების და ადგილის შესახებ ცნობადობის გაზრდის ხელშესაწყობად ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.
- **Tourism service providers:** accommodations, food facilities, agrotourism farms, craft workshops, local guides, tour operators, responsible to develop tourism products and provide quality services, strengthen the local economy and at the same time make an important contribution to the popularization of the destination;
- **Educational institutions:** schools, professional colleges, universities and research centers, whose involvement and participation is important in the development and implementation of education programs, conducting scientific researches for rising awareness, improving knowledge and preparing qualified staff;
- **Media channels:** involvement of broadcasting, printing and electronic media channels is important in terms of awareness rising on conservation natural and cultural heritage, to popularize developed tourism products and destination on local and international levels.





This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of Dedoplistskaro Municipality City Hall and RECC and do not necessarily reflect the views of the European Union."

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და REC კავკასია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



დედოფლისწყარო
ბიოსფერო
რეზერვა



გზამკვლევი მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: „კახეთში დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვაციის დაარსება, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის შექმნა“ ფარგლებში.